

სამოდლო უროდ

ათი მცნებად

პირველი მცნებად: მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.

მეორე მცნებად: არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

მესამე მცნებად: არა მოილო სახელი უფლისა ღმრთისა შენისაჲ ამოსა ზედა.

მეოთხე მცნებად: მოიქსენე დღც იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღც იგი მეშუდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისაჲ.

და
ნი,
ნისა
ბედა
შე
სა
სული
გა
შათი
შე
ტი
აჲ.

მეხუთე მცნებად: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რადთა კეთილი გეყოს შენ და ღლეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა.

მეექვსე მცნებად: არა კაც-ჰკლა.

მეშვიდე მცნებად: არა იმრუშო.

მერვე მცნებად: არა იპარო.

მეცხრე მცნებად: არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუდთა.

მეათე მცნებად: არა გული გითქუმიდეს ცოლისათვს მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვს მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვს, რადცა იყვეს მოყუასისა შენისა.

(წიგნი "გამოსლვათა", თ. 20, 2-17.)

ცხრა ნეტარება

1. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.
2. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ.
3. ნეტარ იყვნენ მშუდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქვეყანაჲ.
4. ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განსძლენ.
5. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.
6. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

7. ნეტარ იყვნენ მშუდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

8. ნეტარ იყვნენ ღვეწულნი სიმართლისათჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.

9. ნეტარ იყვნენ თქუენ, რაჟამს გღვენიდენ და გყუედრიდენ, და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთჳს.

გიხაროდენ და მხიარულ-იყუენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ-არს ცათა შინა.

(საზარება მათესი, თ. 5, 3-12.)

სამი საღმრთისმეტყუელო სათნოება

1. სარწმუნოებად.
2. სასოებად.
3. სიყუარული.

შვიდი ნიჭი სულისა წმიდისაჲ

1. შიში ღმრთისა.
2. ღმრთისმსახურებად.
3. ძლიერებად.
4. ზრახვად.
5. მეცნიერებად.
6. გულისკმეიერებად.
7. სიბრძნე.



ცხრა ნაყოფი სულისა წმიდისაჲ

1. სიყუარული.
2. სიხარული.
3. მშულობა.
4. სულგრძელობად.
5. სიტკობებად.
6. სიკეთე.
7. სარწმუნოებად.
8. მყუდროებად.
9. მოთმინებად.

შვიდი საქმე კორციელი სიბრალულისაჲ

1. მშიერთა დაპურებად.
2. მწყურვალთა სძევად.
3. შიშუელთა შემოსვად.
4. უცხოთა შვერდომად.
5. სნეულთა მიხედვად.
6. პატიმართა მოკითხვად.
7. მიცვალებულთა დამარხვად.

შუდი საიღუმლოდ ახლისა აღთქუმისაჲ

1. ნათლისღებაჲ.
2. მირონცხებაჲ.
3. ზიარებაჲ.
4. სინანული.
5. ზეთის კურთხევაჲ.
6. ქორწინებაჲ.
7. მღუდელობაჲ.

შუდი საქმშ სულიერ მოწყალებათაჲ

1. ცოდვილთა მოქცევაჲ.
2. უმეცართა სწავლებაჲ.
3. დაბრკოლებულთა განმართვაჲ.
4. მწუხარეთა ნუგეშინისცემაჲ.
5. უსამართლობისა მოთმინებაჲ.
6. შემცოდეთა მიტევებაჲ.
7. მოყუასის საცხოვნებლად ღმრთისადმი ვედრებაჲ.

შუდი მომაკუდინებელი ცოდვაჲ და წამალი მათი — შუდი სათნობაჲ

1. ამპარტავნებაჲ — სიმდაბლს.
2. ანგარებაჲ — მოწყალებაჲ.
3. სიძვაჲ — უმანკობაჲ.
4. მრისხანებაჲ — სიმშუღს.
5. ნაყროვანებაჲ — მარხულობაჲ.
6. შური — სიყუარული.
7. სასოწარკუთილებაჲ — სასობაჲ.